

მიკროფინანსების წარმოშობა და განვითარება საერთაშორისო ბაზრებზე

მაღსაზ ძაძუა

ეკონომიკის პროგრამის დოქტორანტი, ქუთაისის უნივერსიტეტი.
ფინანსების მაგისტრი, ფრანკფურტის ფინანსებისა და მენეჯმენტის სკოლა
makho77@yahoo.com

საკვანძო სიტყვები: მონეტარული პოლიტიკა, მონეტარული რეჟიმები, ტრილინა
J.E.L. classification: G21, G23.

ანოტაცია

მიკროფინანსები, როგორც გლობალური ფინანსური სისტემის მნიშვნელოვანი და ანგარიშგასაწევი ნაწილი, განსაკუთრებით ბოლო ათწლეულების მანძილზე გახდა დიდი ყურადღებისა და ინტერესის საგანი მრავალი განვითარებადი თუ განვითარებული ქვეყნისა და საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტის მხრიდან. სტატიაში განხილულია მიკროფინანსების, როგორც კლასიკური საბანკო სისტემისგან განსხვავებული და მისი ეფექტური ფინანსური ალტერნატივის წარმოშობისა და განვითარების ძირითადი ეტაპები

საკვანძო სიტყვები: მიკროფინანსები, არასაბანკო ფინანსური ინსტიტუტი, ფინანსური მომსახურება, განვითარებადი ბაზრები, დაბალშემოსავლიანი მომხმარებელი

შესავალი

მიკროფინანსები წარმოადგენს ფინანსური მომსახურების მიწოდებას დაბალი შემოსავლების მქონე პირებისთვის. კლასიკური განმარტებით ის ხელს უწყობს ღარიბი და დაბალშემოსავლიანი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას, შემოსავლების გენერირებას, ბიზნეს აქტივების ზრდას, ფინანსური თვითუზრუნველყოფის გაძლიერებას და ცხოვრების საერთო სტანდარტების ამაღლებას.

რებას და ცხოვრების საერთო სტანდარტების ამაღლებას.

მიკროფინანსების მომხმარებელთა უმეტესობა მცირე საოჯახო მეურნეობებსა და არაფორმალურ ბიზნესში დასაქმებული ან თვითდასაქმებული კერძო ფიზიკური პირებია, რომლებიც თავიანთ მცირე სამეწარმეო საქმიანობას შეზღუდულ გეოგრაფიულ არეალებსა და ეკონომიკის ლიმიტირებულ სექტორებში ახორციელებენ (Basel Committee on Banking Supervision, 2010: 9).

ბიზნესის წარმოების ტრადიციული მიდგომებისგან განსხვავებით, სადაც უმთავრესია მოგების მიღება და მესაკუთრეთა მატერიალური ინტერესების დაკმაყოფილება, კლასიკურ მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს გააჩნიათ ე.წ. ორმაგი ეფექტი და მიზნობრიობა (Double bottom line), რაც გულისხმობს პასუხისმგებლობას როგორც ფინანსური, ასევე სოციალური ამოცანების გადაწყვეტაზე (Tulchin, Drew, 2005: 5).

21-ე საუკუნის დასაწყისში აღნიშნულს ასევე დაემატა მესამე მიმართულება, რომელიც მოიცავს პასუხისმგებლობის აღებას გარემოს დაცვაზე (Triple bottom line). შესაბამისად, თა-

ნამედროვე მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საერთო ზოგადი შეფასებისას ფინანსურ მაჩვენებლებთან ერთად აქტიურად განიხილება მათი საქმიანობის სოციალური ეფექტი და ზემოქმედება გარემოზე.

ფართო ფენებისთვის ფინანსურ მომსახურებაზე ხელმისაწვდომობა ხელს უწყობს სიღარიბის დონის საერთო შემცირებას და საშუალებას აძლევს დაბალშემოსავლიან მომხმარებელს გაზარდოს შემოსავლები, შექმნას ღირებული აქტივები და შეამციროს დამოკიდებულების ხარისხი გარე ეკონომიკური სტრესების მიმართ.

აქედან გამომდინარე, მიკროფინანსები წარმოადგენს მნიშვნელოვან და ქმედით ინსტრუმენტს საარსებო პირობების გასაუმჯობესებლად მათთვის, ვინც იმყოფება სიღარიბის პირამიდის ფსკერზე (the base of the pyramid).

მსოფლიო ბანკის მონაცემებით, ორ მილიარდზე მეტ ღარიბ და დაბალშემოსავლიან ადამიანს განვითარებადი ქვეყნებიდან არა აქვს სათანადო წვდომა ადეკვატურ ფინანსურ მომსახურებაზე. ეს კი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია მათი ცხოვრების არასტაბილური დინამიკის დასარეგულირებლად და გასაუმჯობესებლად (Helms, Brigit, 2006:9).

2004 წელს მსოფლიო ბანკისა და მასთან არსებული “ღარიბთა დახმარების საკონსულტაციო ჯგუფის” (CGAP) მიერ შემუშავდა და დამტკიცდა საერთაშორისო მიკროფინანსების 11 ძირითადი სახელმძღვანელო პრინციპი:

1. ღარიბ მოსახლეობას ესაჭიროება მრავალფეროვანი ფინანსური მომსახურება და არა მხოლოდ სესხები.
2. მიკროფინანსები უნდა იყოს სიღარიბის დაძლევის მძლავრი ინსტრუმენტი.
3. მიკროფინანსები გულისხმობს ხელსაყრელი ფინანსური სისტემის შექმნას ღარიბი მოსახლეობისთვის.

4. ფინანსური მდგრადობა აუცილებელი პირობაა ღარიბი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის მოცვისათვის.

5. მიკროფინანსები გულისხმობს ადგილობრივი საფინანსო ინსტიტუტების მუდმივ განვითარებასა და შესაძლებლობათა გაძლიერებას.

6. მიკროკრედიტი ყოველთვის არის პასუხი და გამოსავალი პრობლემიდან.

7. საპროცენტო განაკვეთის ზედა ზღვრის დაწესებამ შესაძლოა შეზღუდოს ღარიბი მოსახლეობისთვის ფინანსური მომსახურების ხელმისაწვდომობა.

8. მთავრობამ უნდა შეასრულოს უფრო მხარდამჭერის ვიდრე მომსახურების პირდაპირი მიმწოდებლის როლი.

9. დონორთა სუბსიდიებმა უნდა შეავსოს და არა ჩაანაცვლოს კერძო სექტორის კაპიტალი.

10. მთავარ გამოწვევას წარმოადგენს სუსტი ინსტიტუციონალური და ადამიანური შესაძლებლობები.

11. აუცილებელია ფინანსური მომსახურებისა და საკრედიტო ურთიერთობის მაღალი გამჭვირვალობა.

მიკროფინანსების წარმოშობისა და განვითარების ეტაპები

მიკროფინანსებმა, როგორც ფინანსური შუამავლობის ერთ-ერთმა სახეობამ, მის თანამედროვე მოდელამდე საკმაოდ ხანგრძლივი და საინტერესო განვითარების გზა განვლო. სხვადასხვა სახით მისი პირველადი ფორმები საუკუნეების განმავლობაში არსებობდა მსოფლიოს ბევრ კუთხეში, როგორც კერძო მევახშეობის ეფექტური და საიმედო ალტერნატივა.

არაფორმალური ფინანსური ჯგუფები, რომლებიც ორგანიზებულად ახდენდნენ ერთმანეთისგან მცირე დანაზოგების შეგროვებას და შემდგომ ჯგუფის სხვა წევრებზე ამ თან-

ხების გასესხებას (ROSCAs, ASCAs, Self-Help Groups), ანტიკური დროიდან ფიქსირდება აფრიკის, ლათინური ამერიკის, ევროპისა და აზიის ბევრ ქვეყანაში (Helms, Brigit, 2006:2).

ძველი დროის ორგანიზებული არაფორმალური ფინანსური ჯგუფებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია: “Chit” ჯგუფები ინდოეთში, “Gui” ჩინეთში, “Arisan” ინდონეზიაში, “Paluwagan” ფილიპინებში.

XV საუკუნის იტალიაში სწრაფად იზრდებოდა სალომბარდე დაწესებულებების რიცხვი, რომლებმაც მნიშვნელოვნად შეავიწროვეს კერძო მევახშეობის არსებული ინსტიტუტი და მალევე გახდნენ მათი ეფექტური ალტერნატივა მცირე სესხების აღების მსურველთათვის.

1515 წელს რომის პაპი ლეონ-X ნებას რთავს სალომბარდე დაწესებულებებს ოფიციალურად დააწესონ საპროცენტო სარგებელი სესხებზე, რომელიც მანამდე აკრძალული იყო რელიგიური მოსაზრებებიდან გამომდინარე. აღნიშნულის შემდეგ სალომბარდე ბაზარი სწრაფად იზრდება და ფართოვდება ევროპის ბევრ სახელმწიფოში, ასევე მათ კოლონიურ ქვეყნებში.

XVIII საუკუნის დასაწყისში ირლანდიაში ჩამოყალიბდა საკრედიტო ფონდების ახალი ეფექტური სისტემა (Irish loan funds), რომელიც ასევე წარმოადგენს ორგანიზებული არასაბანკო ფინანსური დაწესებულების ერთ-ერთ პირველ და წარმატებულ მაგალითს მსოფლიოში.

ირლანდიური ფონდებიდან გაიცემოდა მცირე ზომის და მოკლევადიანი სესხები ფერმერებზე, რომელთა დაბრუნება ხდებოდა ყოველკვირეული გრაფიკით და არა ერთბაშად პერიოდის ბოლოს, როგორც ეს აქამდე იყო მიღებული. ამ სქემაში არ იყო სავალდებულო გირაოს ჩადება სესხის უზრუნველსაყოფად, ფართედ იყო გამოყენებული ურთიერთ-ნდობისა და შიდა მონიტორინგის მექანიზმები.

XIX საუკუნის დასაწყისში დასავლეთ და

ცენტრალურ ევროპაში ჩნდებიან ახალი ტიპის საკრედიტო-სადეპოზიტო ფინანსური ინსტიტუტები, რომლებიც ფოკუსირდებიან სასოფლო კლიენტებზე და დაბალშემოსავლიან პირებზე.

ამის მკაფიო მაგალითია ფინანსური აგროკოოპერატივების ჩამოყალიბება გერმანიაში (Raiffeisen, Volksbanken, Sparkassen), რომელმაც საშუალება მისცა მის წევრ მცირემიწიან ფერმერებს მკვეთრად შეემცირებინათ კერძო მევახშეებზე კაბალური დამოკიდებულების ხარისხი, გაეუმჯობესებინათ თავიანთი შიდამეურნეობების ფინანსური უზრუნველყოფა და საერთო ეკონომიური მდგომარეობა.

გერმანული კოოპერაციული სისტემები იმდენად სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა, რომ გაუძლო 2 მსოფლიო ომს, უამრავ კრიზისულ პერიოდს და დღესაც წარმატებით ფუნქციონირებს თანამედროვე გერმანიაში.

XX საუკუნის 70-იანი წლებიდან კი სათავეს იღებს თანამედროვე მიკროფინანსების ისტორია, როდესაც სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში და ლათინურ ამერიკაში თითქმის ერთდროულად დაიწყო კლასიკური საბანკო მომსახურებისგან განსხვავებული, ექსპერიმენტული და სოციალურ მიზნებზე ორიენტირებული ფინანსური პროგრამების განხორციელება სიღარიბის შემცირების მიზნით.

აღნიშნული ფინანსურ-სოციალური პროგრამები უმთავრესად მიმართული იყო ღარიბების, ქალი მეწარმეების და სოფლად მცხოვრები დაბალშემოსავლიანი მოსახლეობის ფორმალურ ფინანსურ სისტემებში ეფექტური ჩართულობისკენ.

1976 წელს ბანგლადეშში პროფესორ მოჰამედ იუნუსის მიერ შექმნილი ჯგუფური სოლიდარობის პროგრამა და მის საფუძველზე 1983 წელს დაარსებული “გრამინ ბანკი” ითვლება

პირველ კლასიკურ მიკროსაფინანსო ორგანიზაციად მსოფლიოში.

იუნუსის მიერ შემუშავებული დაკრედიტების ინოვაციური მოდელი, რომელიც ჯგუფური სესხების მეთოდოლოგიას ეყრდნობოდა, დიდი პოპულარობით და წარმატებით სარგებლობდა 80-90-იანი წლების განვითარებად ქვეყნებში.

გრამინ ბანკში სესხები გაიცემოდა გირაოს გარეშე, რამდენიმე ადამიანისგან შემდგარ ჯგუფზე, რომლებიც სოლიდარულ პასუხისმგებლობას იღებდნენ ერთმანეთის საკრედიტო ვალდებულებებზე.

“ეს არ არის ქველმოქმედება. ეს არის ბიზნესი. ბიზნესი სოციალური მიზნით, რომელიც ხელს უწყობს სიღარიბის დაძლევას” - ასე დაახასიათა მიკროფინანსები პროფესორმა იუნუსმა 2005 წელს ვაშინგტონში გამართულ მსოფლიო კონგრესზე.

დაკრედიტების ამ ინოვაციური, მაგრამ ამასთანავე საკმაოდ რისკიანი მოდელის წარმატებით განხორციელებით, გრამინ ბანკმა სათავე დაუდო თანამედროვე მიკროფინანსების განმსაზღვრელ ფუნდამენტურ კონცეფციას, რომ ღარიბებსაც შეუძლიათ ისესხონ (The World Bank Symposium, 1993:283).

გრამინის ინოვაციური მოდელი სწრაფად გავრცელდა სხვა განვითარებად ქვეყნებში (“რაკიათ ბანკი” ინდონეზიაში, „ბანკოსოლი“ ბოლივიაში, “ფინკა” ლათინურ ამერიკასა და აფრიკაში). მან ასევე მოიპოვა საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების დიდი მხარდაჭერაც, ვინაიდან მიკროფინანსები მიჩნეულ იქნა სიღარიბესთან, უმუშევრობასთან, გენდერულ უთანასწორობასთან და სხვადასხვა სოციალურ პრობლემებთან გამკლავების ეფექტურ საშუალებად განვითარებად ქვეყნებში.

სესხის საგარანტიოდ ჯგუფური სოლიდა-

რობის პრინციპის გამოყენებამ, კლიენტთა შერჩევის ეფექტურმა მექანიზმებმა და მოქნილმა, მარტივმა სასესხო პროცედურებმა წარმატებით ჩაანაცვლა ბანკების მკაცრი და კონსერვატიული მიდგომა (სესხის საგარანტიოდ მყარი გირაოს მოთხოვნა, ჭარბი ფორმალური და ბიუროკრატიული პროცედურები, ტრადიციული დისტანცირება „ბანკი-მსესხებელი“), რამაც მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს საშუალება მისცა სწრაფად გაზრდილიყვნენ ბაზარზე და მოეცვათ დაბალშემოსავლიან მსესხებელთა დიდი სეგმენტი, რომელსაც მაღალი რისკების გამო ბანკები ტრადიციულად უარს ეუბნებოდნენ დაფინანსებაზე.

ასეთი შთამბეჭდავი შედეგებისა და საყოველთაო მხარდაჭერის ფონზე გაერომ 2005 წელი გამოაცხადა მიკროფინანსების საერთაშორისო წლად, ხოლო მომდევნო 2006 წელს “გრამინ ბანკის” დამაარსებელს, პროფესორ მოჰამედ იუნუსს, მიენიჭა ნობელის პრემია სიღარიბესთან ბრძოლაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის.

“გრამინ ბანკი” დღესაც რჩება მიკროსაფინანსო ინდუსტრიის ერთ-ერთ ლიდერ ფინანსურ დაწესებულებად. 2,500 ფილიალითა და 20,000-მდე პერსონალით იგი კვლავაც ეფექტურად ემსახურება 8 მილიონზე მეტ მომხმარებელს ბანგლადეშის 80 ათაზე მეტ სასოფლო დასახლებაში.

“გრამინ ბანკის” დაკრედიტების მოდელი სხვადასხვა ვარიაციებითა და სახეცვლილებით გამოიყენება 60-მდე ქვეყანაში, მათ შორის განვითარებულ ბაზრებზეც (აშშ, კანადა, საფრანგეთი, ნიდერლანდები და სხვა).

მიკროსაფინანსო ბაზრის ტრანსფორმაცია XXI საუკუნეში

საკრედიტო პორტფელის სწრაფმა და ხარისხიანმა ზრდამ, მსესხებელთა დიდმა რაოდენობამ და წამყვანი მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიერ ნაჩვენებმა შთამბეჭდავმა ფინან-

სურმა შედეგებმა მალევე გამოიწვია სექტორის მიმართ ფინანსური ინვესტიორების დიდი დაინტერესება, რამაც არსებითი გავლენა იქონია მიკროფინანსების შემდგომ განვითარებასა და ტრანსფორმაციაზე.

80-90-ანი წლების დონორთა საგრანტო დაფინანსება და სოციალური ფონდების მხარდაჭერა თანდათან ჩაანაცვლა კერძო კაპიტალმა და ფინანსურმა ინვესტიციებმა. მოხდა სექტორის სწრაფი ტრანსფორმაცია და კომერციალიზაცია. ახალი მესაკუთრეებისთვის უმთავრესად ფინანსური ინტერესი გახდა დომინანტური, რომელმაც საგრანტოდაც ჩაანაცვლა და შეავიწროვა მიკროფინანსების თავდაპირველი სოციალური მიზნები.

მსოფლიო ბანკის მიერ 2006 წელს გამოქვეყნებული კვლევის “მიკროსაფინანსო ინსტიტუტების ტრანსფორმაცია” მიხედვით, დადგენილი იქნა მიკროფინანსების კომერციალიზაციის 4 ძირითადი სახე (Ledgerwood, White, 2006:245).

- 1) არამომგებიანი და არაკომერციული მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ტრანსფორმაცია (რეორგანიზაცია) რეგულირებად ან ლიცენზირებულ ფინანსურ ინსტიტუტად;
- 2) კომერციული მიკროსაფინანსო ინსტიტუტის პირდაპირი დაფუძნება კერძო კაპიტალით;
- 3) ტრადიციული კომერციული ბანკის მიერ მიკროსაფინანსო ორგანიზაციის (ან მისი საკრედიტო პორტფელის) შექმნა. ასევე ბანკის შიგნითვე სპეციალური განყოფილების შექმნა, რომელიც უშუალოდ მიკროსაკრედიტო სეგმენტზე არის ორიენტირებული, ე.წ. “downscaling” მოდელი;
- 4) მცირე არასაბანკო მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შერწყმა და მის საფუძველზე მსხვილი რეგულირებული ფინანსური ინსტიტუტის ჩამოყალიბება.

2000-იანი წლებიდან ბაზარზე მასობრივად ჩნდება ახალი თაობის, წმინდა კომერციუ-

ლი, უმეტესად სამომხმარებლო საჭიროებებზე ორიენტირებული მიკროსაფინანსო ორგანიზაციები. ხდება ციფრული ტექნოლოგიების სწრაფი დანერგვა ინდუსტრიაში და ონლაინ საკრედიტო ორგანიზაციების აქტიური ექსპანსია. მათი უმთავრესი მოტივაცია მოგების მაქსიმიზაცია და კერძო მესაკუთრეების მატერიალური ინტერესების დაკმაყოფილებაა, რის გამოც საგრანტოდაც შესუსტდა სოციალური პასუხისმგებლობის მიმართულება და დაკნინდა მიკროფინანსების თავდაპირველი, ფუნდამენტური ღირებულებები

უნდა აღინიშნოს, რომ პირველ ეტაპზე კომერციალიზაციამ და კერძო ინვესტიციებმა მნიშვნელოვნად გაზარდა მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ფინანსური შესაძლებლობები, მათ მიერ კლიენტურისთვის შეთავაზებული მომსახურების ხარისხი, მასშტაბები და მრავალფეროვნება. გაიზარდა კონკურენცია და დაინტერესება საბანკო სექტორისა და მსხვილი ფინანსური ინვესტიორების მხრიდან.

აღნიშნულის მკაფიო დადასტურებაა 2007 წლის აპრილში წამყვანი მექსიკური მიკროსაფინანსო ბანკის “Banco Compartamos” მიერ განხორციელებული პირველი საჯარო გასვლა საფონდო ბირჟაზე (IPO, Initial Public Offering), სადაც ბანკის აქციების ღირებულება გაიზარდა 13-ჯერ და საერთო ჯამში მოზიდულ იქნა რეკორდული 467 მილიონი დოლარის ოდენობის ინვესტიცია.

მსგავსი კომერციული წარმატება ჰქონდა 2010 წელს ინდური მიკროსაფინანსო ბანკის (SKS) საჯარო შეთავაზებასაც, რომლის აქციების ღირებულება გაიზარდა 4-ჯერ და მოზიდულ იქნა 100 მილიონ დოლარზე მეტი დამატებითი ინვესტიცია.

ასეთი წარმატებული კომერციული შედეგების პარალელურად შესამჩნევად შესუსტდა

სოციალური პასუხისმგებლობის მიმართულე-
ბა და დაკნინდა მიკროფინანსების თავდაპირ-
ველი ფუნდამენტური ღირებულებები. კომერ-
ციალიზაციისა და ტრანსფორმაციის შედეგად
მიკროფინანსები ჩამოყალიბდა, როგორც უფ-
რო მოგებაზე ორიენტირებული ფინანსური
ბაზრის შემადგენელი ნაწილი, ვიდრე სიღარი-
ბესთან და სოციალურ პრობლემებთან ბრძო-
ლის ინსტრუმენტი და ეფექტური საშუალება.

ქვემოთ მოტანილ ცხრილში (იხ. ცხრ. 1) მო-
ცემულია ტრანსფორმაციისა და განვითარების
რა ძირითადი ეტაპები გაიარა მიკროსაფინანსო
ინდუსტრიამ უძველესი დროიდან დღემდე.

სექტორის ძირითადი გამოწვევები

მომგებიანობისა და ზრდის ტემპების მაღა-
ლი მაჩვენებლების გამო, XX საუკუნის მიწუ-
რულიდან მიკროსაფინანსო კომპანიებს გზა

გაეხსნათ ფინანსური ბაზრებისა და კერძო სა-
ინვესტიციო კაპიტალისკენ. დიდი მოცულო-
ბით და იოლად მოზიდულმა სახსრებმა კი თა-
ვის მხრივ გამოიწვია რესურსების მიწოდების
სიჭარბე ბაზარზე, რამაც წახალისა ფინანსური
პირამიდების შექმნა და მსესხებელთა ნაწილს
შეუქმნა ე.წ. “ჭარბვალთანობის” პრობლემები.

თუკი 2000-იან წლებამდე მიკროსაფინან-
სო ორგანიზაციების ძირითადი მისია და შე-
თავაზება იყო ფინანსური ხელმისაწვდომო-
ბის ზრდა ღარიბთათვის (Access to Finance),
მომდევნო პერიოდში ინდუსტრიის სწრაფმა
ზრდამ და სპეკულაციურმა ინვესტიციებმა ამ
კუთხით უკუშედეგი გამოიღო და პრობლემა
გახდა უკვე ფინანსების ჭარბი და უპასუხის-
მგებლო მიწოდება ბაზარზე.

2000-იან წლებში რამდენიმე ქვეყანაში და-
ფიქსირდა მიკროსაფინანსო ბაზრის პირველი

ცხრილი 1

მიკროფინანსების ისტორიული განვითარების ეტაპები

პერიოდი	მოვლენა
XV საუკუნემდე	არაფორმალური თვითორგანიზებული ჯგუფები (ROSCAs, ASCAs, Self-Help Groups). მცირე დანაზოგების მობილიზება და სესხების გაცემა ჯგუფის წევრებზე.
XV-XVII საუკუნე- ები	სალომბარდე დაწესებულებების შექმნა ევროპაში . 1515 წელს რომის პა- პი ლეონ X ნებას რთავს ლომბარდებს ოფიციალურად დააწესონ საპრო- ცენტო სარგებელი სესხებზე.
XVIII საუკუნე	სასესხო ფონდების სისტემის დაფუძნება ირლანდიაში (Irish loan funds), რომელიც გასცემს მცირე სესხებს ფერმერებზე გირაოს გარეშე, შიდა მო- ნიტორინგის მექანიზმებით.
XIX საუკუნე	ფინანსური კოოპერატივების წარმოშობა განვითარებულ ქვეყნებში (გერმანია, საფრანგეთი, კანადა), რომლებიც მცირემიწიან და ღარიბ ფერმერებზეა ორიენტირებული.

XX 50-70 წლები	სახელმწიფო სუბსიდირებული პროგრამები, რომლებიც ხორციელდება განვითარების ფინანსური ინსტიტუტების მიერ სასოფლო დასახლებებში (წარუმატებლად).
XX საუკუნის 80-იანი წლები	თანამედროვე მიკროსაფინანსო ორგანიზაციების წარმოშობა. ჯგუფური სესხები გირაოს გარეშე, სოციალური მიზნების პრიორიტეტულობა. დონორთა ფინანსური მხარდაჭერა.
2000-იანი წლები	მიკროფინანსების ტრანსფორმაცია და კომერციალიზაცია. პირველი წარმატებული საჯარო შეთავაზება (IPO)
2010-იანი წლები	ციფრული ტექნოლოგიების მასიური შემოსვლა მიკროსაფინანსო ინდუსტრიაში. ონლაინ საკრედიტო ორგანიზაციები. სახელმწიფო რეგულაციების გამკაცრება.

კრიზისი და სესხების მასიური გაპრობლემების ფაქტები (ინდოეთი, პაკისტანი, ნიკარაგუა, მოროკო, ბოსნია-ჰერცეგოვინა).

აღნიშნული პრობლემა განსაკუთრებით გამოწვევდა 2007-2008 წლებში, როდესაც მსოფლიო გლობალური კრიზისის ფონზე მკვეთრად მოიმატა კომპანიების მხრიდან მსესხებლების მიმართ აგრესიულმა, არაეთიკურმა მოპყრობამ და კლიენტთა ფუნდამენტური უფლებების დარღვევის გახშირებულმა ფაქტებმა.

ამ გამოწვევებისა და კრიტიკის საპასუხოდ 2010-იან წლებში გლობალურ მიკროსაფინანსო ინდუსტრიაში დაიწყო ახალი მოძრაობა (Microfinance 3.0), რომელიც ცდილობს გარკვეული სტანდარტებისა და ეთიკური ქცევის წესების დანერგვით დააბალანსოს სექტორის კომერციული და სოციალური ამოცანები, გააუმჯობესოს კლიენტთა უფლებების დაცვის მექანიზმები და გაამდიეროს სექტორის რეპუტაცია (Kohn, Doris, 2013:127)

მსოფლიო ბანკის, გაეროს, სხვადასხვა დონორი ორგანიზაციებისა და სოციალური ფონდების მხარდაჭერით შეიქმნა რამდენიმე საერთაშორისო პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს გამჭვირვალებისა და პასუხისმგებლიანი დაფინანსების პრინციპების

გამდიერებას მიკროსაფინანსო ინდუსტრიაში. ამ პროგრამებიდან აღსანიშნავია შემდეგი 4 ინიციატივა:

The Smart Campaign (www.smartcampaign.org)

The Social Performance Task Force (www.sptf.info)

MicroFinance Transparency (www.mftransparency.org)

Microfinance Information Exchange Platform (www.mixmarket.org)

დასკვნა

ბოლო ათწლეულების განმავლობაში მიკროფინანსებს განვითარებად და ღარიბ ქვეყნებში მდგრადი და სიცოცხლისუნარიანი ფინანსური პროგრამების, ასევე პოზიტიური სოციალურ-ეკონომიური ეფექტის საკმაოდ დიდი გამოცდილება დაუგროვდა. სწორი ბიზნეს მოდელის შერჩევისა და პასუხისმგებლიანი დაფინანსების დანერგვის შემთხვევაში, მას მნიშვნელოვანი დადებითი როლის შესრულება შეუძლია როგორც სიღარიბის შემცირების, ასევე ფინანსური ჩართულობისა და ეკონომიკური თვითუზრუნველყოფის ამაღლების კუთხით.